



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და საფეხური	მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - მასაჟისტი
2	პრატიკა დასახელება	სასწავლო პრაქტიკა
3	პრაქტიკის ხანგრძლივობა	1 კრედიტი-25 საათი, 14,4 კრედიტი - 360 საათი, 12 კვირა, აქედან პრაქტიკული მუშაობა - 332 სთ, გამოცდა - 28 სთ.
4	პრაქტიკის შინაარსი	სასწავლო პრაქტიკის დროს პროფესიულ სტუდენტს ექმნება სასწავლო გარემოში პირობები თეორიული ცოდნის პრაქტიკულ ქმედებაში გადასატანად და სავარჯიშოდ პროფესიული უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად. მან პაციენტის საწოლთან პრაქტიკის გავლამდე უნდა შეიძინოს თავისი კვალიფიკაციის შესაფერისი უნარები სიმულირებულ გარემოში. პრაქტიკის ხელმძღვანელთან ერთად ხდება სხვადასხვა სირთულის ამოცანის მომცველი კონკრეტულ შემთხვევა-მაგალითებზე მუშაობა.
5	მიზანი	სასწავლო პრაქტიკის მიზანია პროფესიულმა სტუდენტმა პროფესიასთან დაკავშირებული კონკრეტული თემატიკის გაცნობიერების შემდეგ დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხის მისაღწევად შეასრულოს პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ წინასწარ განსაზღვრული დავალებები ავადმყოფის მოვლის, სამედიცინო მასაჟის ძირითადი კონცეპციების, ასაკობრივი და დაავადებათა თავისებურებების გათვალისწინებით, აგრეთვე დაეუფლოს მასაჟისთვის საჭირო ინსტრუმენტების და მასალების სწორი გამოყენების ტექნიკას სანიტარული ნორმების გათვალისწინებით. მთელი სასწავლო პრაქტიკის განმავლობაში პროფესიული სტუდენტი სიმულირებულ გარემოში თავის მეგობრებსა და ხელმძღვანელთან ერთად მუშაობის დროს სწავლობს სწორი ურთიერთობის წარმართვას პაციენტთან და სამედიცინო გუნდის სხვა წევრებთან.
6	შესწავლის წინაპირობები	ზოგადი სწავლებები, ფსიქოლოგია, პირველადი დახმარება
7	სასწავლო საკმიანობა და სწავლის მეთოდები	შემთხვევა-მაგალითების განხილვა; დისკუსია; ჩვენება (დემონსტრირება); სადემონსტრაციო ოთახში, ფუნქციურ საწოლებთან მცირე, 3 -კაციან ჯგუფებში ვარჯიში (თითოეული სტუდენტი ვარჯიშობს ავადმყოფის, მომვლელის, დამკვირვებლის ამპლუაში);
8	შეფასების სისტემა, კრიტერიუმები და მეთოდები	მაქსიმალური შეფასება 100 ქულა, დასკვნითი გამოცდა 40 ქულა, შუალედური შეფასება 60 ქულა. თითოეული საკითხი ფასდება 0-6 ქულით, სულ 54 ქულა, შუალედური გამოცდა 0 - 3 ქულა. ორი შუალედური გამოცდა - სულ 6 ქულა. შუალედური შეფასების გამოცდა ჩატარდება პროფესიული სტუდენტის მიერ დავალების პრაქტიკულად შესრულებისა და პროფესიული სტუდენტის მიერ ახსნა-განმარტებებით შეფასებით. თითოეული შუალედური შეფასების გამოცდიდან პროფესიულმა სტუდენტმა უნდა მიიღოს მინიმუმ 2 ქულა გამოცდა ჩაბარებულად რომ ჩათვალოს. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა მინიმუმ შუალედური შეფასების



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

		<p>გამოცდის ჩათვლით 30 ქულა. შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81 - 90%; ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 70 - 80%; ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61 - 70%; ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 50 - 60%;</p> <p>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41 - 50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</p>
9	სასწავლო რესურსი/ლიტერატურა	სათანადოდ აღჭურვილი სადემონსტრაციო ოთახი ფუნქციური საწოლებით, მოსავლელი მასალებით და დამხმარე საშუალებებით; მულიაჟები და ვიდეომასალა შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით.
10	სწავლის შედეგები	<p>სასწავლო კურსი პროფესიულ სტუდენტს უვითარებს ზოგად და დარგობრივ უნარებს (ცოდნა და გაცნობიერება; ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; დასკვნის გაკეთების უნარი; კომუნიკაციის უნარი; სწავლის უნარი; ღირებულებები.)</p> <p>სასწავლო პრაქტიკის გავლის შედეგად პროფესიული სტუდენტი მზადაა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით პაციენტთან იმუშაოს პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ წინასწარ განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად. მან იცის სამკურნალო მასაჟის ძირითადი მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება, ასაკობრივი და დაავადებათა თავისებურებების გათვალისწინებით მუშაობა. მასაჟისთვის საჭირო ინსტრუმენტების და მასალების გამოყენება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გათვალისწინებით. სასწავლო პრაქტიკის განმავლობაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე პროფესიული სტუდენტი შეძლებს რეალურ გარემოში როგორც პაციენტთან, ასევე მის ახლობლებსა და სამედიცინო გუნდის სხვა წევრებთან გამართულ ურთიერთობას ეთიკის ნორმების დაცვით. ის შეძლებს ავადმყოფი ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას, საკუთარი თავის მომსახურების უნარების განვითარებასა და სწავლებაში ხელშეწყობას ადამიანური ღირსების შესატყვისად.</p>
11	მასწავლებელი/მასწავლებლები; საკონტაქტო ინფორმაცია	<p>მერი ვაშაკიძე - საექთნო საქმე ტელ.: 995 593632285 ლალი ზაუტაშვილი - ლიმფოლოგი, მასაჟისტი, ტელ.: 995 599202495 ლია ავალიანი - ექიმი-მასაჟისტი, ტელ.: 995 593168461</p>

სასწავლო კურსის თემების გადანაწილება საათების/კვირების მიხედვით



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ზუნება“

სასწავლო პერიოდი (დღე)	საათების რაოდენობა/აქტივობა	თემის დასახელება	სასწავლო რესურსი/ლიტერატურა
1 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა / შეფასება 30 საათი	<p>დაკვირვება ავადმყოფზე: ზოგადი შთაბეჭდილება ავადმყოფი ადამიანის შესახებ; დაკვირვება იმაზე, თუ როგორ გამოიყურება და როგორ იქცევა ავადმყოფი (სიარული, სხეულის ფლობა, შესტიკულაცია, საწოლში მდებარეობა); დაკვირვება კანის ფერზე;</p> <p>ძილი და სიფხიზლე: ძილის მოთხოვნილება; ძილის დარღვევები, დაძინების ხელშემწყობი ღონისძიებები.</p> <p>სხეულის ტემპერატურის რეგულაცია: სხეულის ტემპერატურაზე დაკვირვება; სიცხის გაზომვა, სიცხიანი ავადმყოფის მოვლა.</p> <p>კინესთეტიკა მოვლაში: საკუთარ თავზე და მოძრაობაზე დაკვირვება სწორი პოზიცია საწოლთან მუშაობის დროს, ზურგის დასაცავად. დაზიანებისაგან; ტრანსპორტირება; მწოლიარე მძიმე ავადმყოფის გადაადგილება საწოლში; ავადმყოფის საწოლში წამოჯდომა, საწოლიდან სკამზე გადაჯდომა და პირიქით; ავადმყოფის საწოლიდან წამოყენება, დახმარებასიარულში; თეთრეულის გამოცვლა, საწოლის მოწესრიგება; ასეპტიკისა და ანტისეპტიკის დაცვა. ტანსაცმლის შერჩევა და ჩაცმა წოლით მდგომარეობაში.</p>	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
2 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა / შეფასება 30 საათი	<p>სასიცოცხლო მაჩვენებლებზე დაკვირვება: პულსზე დაკვირვება, განსაზღვრება, გაზომვის ტექნიკა, შეფასება: სიხშირე, რიტმი, ხარისხი; სუნთქვაზე დაკვირვება: სუნთქვის სიხშირე, ხარისხი, რიტმი, ამოსუნთქული ჰაერის</p>	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ბუნება“

		<p>სუნი; სასიცოცხლო მაჩვენებლების მონიტორინგი: ავადმყოფის მოვლა დარღვეული ცნობიერების დროს (ძილიანობა, სომნოლენცია, სოპორი, კომა).</p> <p>პროფილაქტიკები: თრომბოზების, ნაწოლების, ანკილოზების, პნევმონიის და სხვ.</p>	
3 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ შეფასება 30 საათი,	<p>გარეგანი ზემოქმედებები:</p> <ul style="list-style-type: none"> - სახვევებისა და საფენების (კომპრესების) გაკეთების ტექნიკის შესწავლა; - სამკურნალო აბაზანის მომზადება; - რიტმული შეზელევა ვეგმან/ჰაუმპას მიხედვით 	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
4 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ შეფასება 30 სთ,	კლასიკური მასაჟის ძირითადი მეთოდების განორციელების მეთოდები	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
5 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა/შეფასება 30 საათი	კლასიკური მასაჟის ძირითადი მეთოდების განორციელების მეთოდები	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
6 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა / 24 სათი შუალედური გამოცდა 6 საათი	კლასიკური მასაჟის ძირითადი მეთოდების განორციელების მეთოდები	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
7 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა / შეფასება სულ 30 სთ	კინეზოთერაპიის ძირითადი პრინციპები და მეთოდები; მოძრაობის შინაარსი ასაკობრივ ჯგუფებთან მიმართებაში, ფიზიკური ვარჯიშების როლი.	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
8 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა სულ 24 სთ შუალედური გამოცდა 6 საათი	კინეზოთერაპიული ღონისძიებების ორგანიზაცია და დაგეგმვა: მიკროციკლური და მაკროციკლური დაგეგმვა.	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი
„ადამიანი და ზუნება“

9 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ შეფასება 30 საათი	რმ-ის ილეთები და ძირეული ფორმები, რიტმი და შეხების ხარისხი, სითბოს მნიშვნელობა რმ-ის დროს, სხეულის სხვადასხვა ნაწილის პრაქტიკული მასაჟი,	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
10 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ შეფასება 30სთ	სხეულის სხვადასხვა ნაწილის მასაჟი, რმ და ასაკობრივი თავისებურებები, რმ-ის თერაპიული პროცედურის წარმართვა, ეთიკის საკითხები მასაჟში	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
11 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ შეფასება 30სთ	რმ-ის დროს სხვადასხვა სუბსტანციებით მუშაობის თავისებურებები: მცენარეული ეთერზეთები, საცხები და მალამოები, როგორც თერაპიული პროცესის გამაძლიერებლები	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი
12 კვირა	სამუშაო ჯგუფში მუშაობა/ 14სთ დასკვნითი გამოცდა 16 საათი	რმ-ის პროცედურის წარმართვის დაგეგმვა, შესრულების აღწერა - დოკუმენტაციის წარმოება, რმ-ის საკანონმდებლო საფუძვლები.	„თერაპიის სახლი“ სადემონსტრაციო ოთახი

ხელმოწერა: